რეკორდები:

მსოფლიო — 80 მეტრზე თარჯრბენში — ვერა კორსაკოვა — 10,2
საკავშირო — 100 მეტრზე — ვლადისლავ საპეია — 10,1



ი. კოჩერგინი

ი. გრიგორიევი

ი. ნოვოხატკო



ო. ბლიაძე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 118 (3602)

18 1968 წ. ივნისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

პამოცემის 24-ე წელი.

ბლიაძე და მისი მეგობრები

ვესტეროსი, 17 ივნისი. გუშინ შვეიცის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ხალიჩაზე 158 ათლეტი გამოვიდა, რომელთაგან ჩემპიონის ოქროს ბრწყინვალება პირველმა იგრძნო სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტმა, თბილისელმა ო. ბლიაძემ (საშუალო წონა). ამ 26 წლის ნიჭიერმა მოჭიდავემ დაუმარცხებლად იასპარეზა და მხოლოდ ერთი შეხვედრა (ბულგარელ კრუმოვთან) დაამთავრა ფრედ. ბულგარელი ათლეტი ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო ბრინჯაო ჩეხოსლოვაკიელ კორმანიკს ერგო.

სხვა წონით კატეგორიებში ბრძოლა ასე წარიმართა: როსტოველმა ი. კოჩერგინმა (უმჩატესი წონა) მეხუთე წრეში წმინდად დაამარცხა პოლონელი მიხალიკი. სამი წმინდა გამარჯვების შემდეგ ერევნელმა ე. ზაბარიანმა (მჩატე წონა) მეოთხე წრეში ქულებით წააგო ევროპის ჩემპიონთან ვარგასთან (უნგრეთი), მეხუთე წრეში კი ფინელი ბიერლინი დაამარცხა.

ქვემსუბუქ წონაში ზაპოროჟიელმა ი. გრიგორიევმა ქულებით სძლია დამიანოვიჩს (იუგოსლავია), ხოლო ტერნოპოლელმა ვ. ნოვოხატკომ (მსუბუქი წონა)—ასევე იუგოსლავიელ ათლეტს მარტინოვიჩს.

ფინალის გზაზე ევროპის ექს-ჩემპიონმა, ქვესაშუალო წონის წარმომადგენელმა ვ. ივლევმა (მოსკოვის ოლქი) ქულებით მოუგო შეხვედრა ვეხპერს (გდრ).

საბჭოთა სპორტსმენთაგან ბრძოლას გამოეთიშნენ მოსკოველი ვ. ანისიმოვი (ქვემძიმე წონა) და ომსკელი ა. კოჩნევი (მძიმე წონა).

რიგორც მუდამ, საუკეთესონი

ვესტეროსი, 17 ივნისი. ჩემპიონატი საბჭოთა კავშირის ნაკრების ტრადიციული გამარჯვებით დამთავრდა. ამ გუნდმა 31 ქული დააგროვა — 7 ქულით მეტი, ვინემ მისმა უახლოესმა მეტოქემ — ბულგარეთის ნაკრებმა. III ადგილზეა უნგრეთის გუნდი — 23 ქული. 1953 წლიდან, როცა პირველად გამოვიდნენ საერთაშორისო ჩემპიონატში, საბჭოთა ათლეტებს გუნდურ ჩათვლაში ჯერ არავისთვის დაუთმიათ პირველობა არც ევროპის, არც მსოფლიო ჩემპიონატში.

პირად ჩათვლაში ბლიაძის გარდა ოქროს მედლები მოიხვეჭეს კოჩერგინმა, გრიგორიევმა და ნოვოხატკომ.

ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ივლევს.



სპარტაკიადის XX ჯერ

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მესამე და მეოთხე დღეს დამთავრდა ასპარეზობა ოთხ სახეობაში — თავისუფალ ჭიდაობაში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში. ამ შეჯიბრებების დაწვრილებით შედეგებს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგაწვდით.

გუშინ დასკვნითი შეჯიბრებები გამართეს ტანმოვარჯიშეებმა, მსროლელებმა, მოფარიკაველებმა, ველოსიპედისტებმა და II ჯგუფში მოასპარეზე ფეხბურთელებმა.

სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის გოგონათა ნაკრებმა 1111,554 ქულით პირველობა გაინაღდა. II ადგილზეა ქუთაისის (1047,845), ხოლო III — აჭარის ნაკრები (1016,984).

ფეხბურთელთა გუშინწინ გამართული ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: ცხაკაიელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს სამტრედიელები (5:0), ხოლო თელავისა და ხაშურის გუნდების მატჩში აღინიშნა ფრე — 1:1.

ჭაბუკ რაპირისტთა (1952-53 წლებში დაბადებულნი) გუნდურ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის, III — რუსთავის მოფარიკაველნი. პირველობა ჭაბუკ ესპადრონისტებშიც (1954-55 წ. წ.) თბილისელებს ხვდათ წილად. II ადგილზე გავიდნენ რუსთაველები, III — აფხაზეთის წარმომადგენლები.

მაგიდის ჩოგბურთში დამთავრდა გუნდური ასპარეზობა და დაიწყო პირადი პირველობა. I ადგილები დაიკავეს რესპუბლიკის დედაქალაქის გოგონებმა და ჭაბუკებმა. ჭაბუკებში II ადგილზე გავიდა აჭარის, ხოლო III — ქუთაისის გუნდი. გოგონებში მეორე პრიზიორია სამხრეთ ოსეთის გუნდი, მესამე — აჭარისა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლაში I ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა, II — თბილისის, ხოლო III — აფხაზეთის ნაკრებმა.

• • •

სურათზე: აჭარისა და რუსთავის ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა აჭარის ნაკრებმა — 3:1.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფეხაკაძის ჰარიფზლისებური სიჩქარე

ტულა, 17 ივნისი. ნიჭიერმა თბილისელმა მრბოლელმა ო. ფხაკაძემ გუშინ სპრინტში I ადგილი დაიკავა და წლეულსაც მოიპოვა მესამე მთავარი ჯილდო — „ტულის დიდი პრიზი". შეჯიბრების მონაწილეებმა — ომარის საბჭოთა თუ უცხოელმა მეტოქეებმა ფინიშის სწორზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონის უდიდეს ტემპს ვერ გაუძღეს და ფარ-ხმალი დაყარეს. რამდენიმეჯერ ფხაკაძემ მართლაც ქარიშხლისებურ სისწრაფეს მიაღწია — ბოლო 100 მეტრი 5,7 წამში დაფარა.

ნახევარფინალში ფხაკაძის გარდა გავიდნენ 20 წლის ხარკოველი სტუდენტი ს. კრავცოვი და ჰოლანდიელები — ლ. ლოვეხაინი, ი. იანსენი. უშეღავათო ბრძოლამ ფინალის გზა საბჭოთა სპორტსმენებს გაუხსნა. მიუხედავად იმისა, რომ თავის ძლიერ მეტოქესთან წააგო, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა კრავცოვმა, რომელმაც II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა იანსენი.

4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 4-4 საბჭოთა სტუდენტმა ფინალის გზა ბრძოლამ ფინალის გზა საბჭოთა სპორტსმენებს გაუხსნა. მიუხედავად იმისა, რომ თავის ძლიერ მეტოქესთან წააგო, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა კრავცოვმა, რომელმაც II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა იანსენი.

4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 4-4 საბჭოთა

საჯარო ინფორმაცია

ქალთა შეჯიბრების მონაწილე თ. გარკუშინას (ტულა) ტოლი არ ჰყავდა 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. მას ჩაბარებული შედეგი აქვს — 3.59,6. და უცხოური კვარტეტი მონაწილეობდა. წინასწარ და ფინალურ შეჯიბრებაში უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. თორმეტი წრე — 4 კმ — დიდი სისწრაფით გადალახა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ს. მოსკვინის, ძ. ლაცისის, მ. კოლიუშევისა და ვ. კუზნეცოვის შემადგენლობით — 4.34,2. ამ შესანიშნავ შედეგს 0,8 წამით ჩამორჩა სსრ კავშირის მეორე ნაკრები.

მეტრეველი ამაოდ დაშვრა

რეჯიო-ემილია, 17 ივნისი. თბილისელი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი მართლაც შესანიშნავად გამოვიდა დევისის თასზე იტალიაში — სსრ კავშირის მატჩში. მან ჯერ იყო და მ. მალიგანი დაამარცხა, მერე კი, როცა წყვილთა ასპარეზობის შემდეგ იტალიელთა გუნდი დაწინაურდა (2:1), ნ. პიეტრანჯელისთან ბრწყინვალე გამარჯვებით (6:0, 6:0, 6:1) ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

მაგრამ მეტრეველის მეცადინეობა ამაო გამოდგა: თ. ლეიუსმა თავისი მეორე შეხვედრაც წააგო (ამჯერად, მალიგანთან) და ევროპის „ა" ზონის ფინალის საგზური იტალიელებს დარჩათ — 3:2.

ტექნიკუმელთა IV...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საუნივერსიტეტო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა IV რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეობათა უმეტესობაში შეჯიბრებები დამთავრდა. დღეს ვისაუბრებთ სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტსა და ძართულ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრებებზე.

მიუხედავად იოლი მოთხოვნებისა

მძლეოსნებმა ვერაფერით გაგვახარეს. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ ტურნირში საზოგადოების არც ერთი რეკორდი არ გაუჯობესებულა, პირველი თანრიგის შედეგიც არავის უჩვენებია, შეჯიბრებაში კი თბილისის მანქანათმშენებლობის, პოლიტექნიკური, მუბუქი მრეწველობის, საბჭოთა ვაჭრობის, ქუთაისის სატყეო, ავტომექანიკური, რუსთავის ქიმიური, სოხუმის ინდუსტრიული, ფოთისა და საგარეჯოს ჰიდრომელიორაციის, მახარაძის ჩაის ტექნიკუმების გუნდები მონაწილეობდნენ.

სპარტაკიადის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკუმების უმეტესობას მძლეოსნობის განვითარებისთვის სათანადო პირობები არა აქვს. ამიტომ თვითეული გუნდის ვაჟებს 10, ქალებს კი 8 ჩასათვლელი შედეგი მოეთხოვებოდათ, ამასთან, სპორტსმენებს სულ ცოტა III თანრიგის შედეგები მაინც უნდა ეჩვენებინათ.

მოთხოვნები ძნელი როდი იყო, მაგრამ ბევრი გუნდი სახეობათა უმეტესობაში ამაოდ დაშვრა: ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის ქალებმა პროგრამის 9 სახეობაში ვერც ერთი ჩათვლა ვერ მიიღეს, საგარეჯოელი ვაჟებიდან კი ჩათვლა მხოლოდ ნ. იმედაშვილმა მიცა გუნდს (1500 მეტრზე რბენაში — 4.34,9; III ადგილი). მახარაძის კოლექტივმა ჩათვლა ვერ მიიღო 7 სახეობაში, თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმმა — რვაში, სოხუმის ინდუსტრიულმა და ქუთაისის ავტომექანიკურმა ტექნიკუმებმა — ექვს-ექვსში.

ამას დაგუმატოთ, რომ 800 მეტრზე რბენაში მხოლოდ ერთი, 400 მეტრზე რბენასა და შუბის ტყორცნაში კი 3-3 ქალი გამოვიდა სარბიელზე. ვაჟთა შეჯიბრებაში ოთხ შუბის მტყორცნელსა და ხუთ სამმხტომელს ძლივს მოუყარეს თავი.

როგორც ჩანს, მძლეოსნობას სათანადო ყურადღება ექცევა მხოლოდ მანქანათმშენებლობისა და პოლიტექნიკურ ტექნიკუმებში, სადაც ფიზიკურდის მასწავლებლებად მძლეოსნობის სპეციალისტები მუშაობენ და, ცხადია, ამ სახეობის შედარებით უკეთესი გუნდებიც ჰყავთ. მაგალითად, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სპორტსმენებმა 13, პოლიტექნიკური ტექნიკუმის მძლეოსნებმა კი 12 საპრიზო ადგილი მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაშიც მათ ისახელეს თავი: მომავალი მანქანათმშენებლები (ვაჟებიცა და ქალებიც) უძლიერესნი აღმოჩნდნენ, პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდები II ადგილებზე გავიდნენ. III ადგილზე არიან სოხუმის ინდუსტრიული (ქალთა) და ფოთის ჰიდრომელიორაციის (ვაჟთა) ტექნიკუმების წარმომადგენლები.

ნ. ბიგოლაშვილი,
ლ. გაგნიძე.

* * *

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები

ქალები. რბენა: 100 მ — ე. ქარსანაშვილი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 13,6; **400 მ** — ი. პივოვაროვა (ინდუსტრიული) — 1.06,4; **800 მ** — ნ. თვაური (მანქანათმშენებლობის) — 2.38,2; **ესტაფეტა 4×100 მ** — მანქანათმშენებლობის — 56,3; **სიგრძეზე ხტომა** — ლ. სავჩენკო (მანქანათმშენებლობის) — 476 სმ; **სიმაღლეზე ხტომა** — ს. მამედოვა (პოლიტექნიკური) ლ. სავჩენკო, ს. კობახიძე (პოლიტექნიკური) — ყველა 135; **ბადროს ტყორცნა** — ლ. ჩიკაძე (პოლიტექნიკური) — 36,25; **შუბის ტყორცნა** — ნ. ტვანბა (ინდუსტრიული) — 29,23; **ბირთვის კვრა** — ფ. ოჩიგავა (მანქანათმშენებლობის) — 11,40.

ვაჟები. რბენა: 100 მ — ნ. ზირაქიშვილი (ჩაის) — 11,3; **400 მ** — ვ. კონოვი (ავტომექანიკური) — 53,4; **1500 მ** — ს. ოგანესიანი (პოლიტექნიკური) 4.16,3; **ესტაფეტა 4×100 მ** — პოლიტექნიკური — 46,8; **სიგრძეზე ხტომა**—ვ. კონოვი—632; **სიმაღლეზე ხტომა**—გ. მებონია (პოლიტექნიკური) — 185; **სამხტომი** — ვ. ოგანესიანი (მანქანათმშენებლობის) — 13,55; **ბადროს ტყორცნა** — ი. ნაზღაიძე (საბჭოთა ვაჭრობის) — 41 მ; **შუბის ტყორცნა** — ი. პაპიდი (ინდუსტრიული) — 48,60; **ბირთვის კვრა** — კ. გაბედავა (ფოთის ჰიდრომელიორაციის) — 12,36.

* * *

სურათზე: 1500 მეტრზე რბენაში შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ვ. ზარგარიანისა.

პირქარის წინააღმდეგ

ველოსიპედისტებმა სტარტი სამხედრო გზაზე აიღეს. შეჯიბრების პირველ დღეს პირქარი ჰქროდა და რბოლა გაძნელდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მაღალ შედეგებს.

შეჯიბრების ორმა დღემ ჩემპიონობა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის კარგად მომზადებულ გუნდს მოუტანა. II ადგილი დაიკავეს თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, III — ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

25-კილომეტრიან რბოლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ს. გრიშკევიჩი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 37.39, 2. რ. ცხოვრებაშვილი (რუსთავის ქიმიური ტექნიკუმი) — 39.02, 3. ლ. კაბალიანი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 39.06.

გრიშკევიჩი პირველი იყო 75-კილომეტრიან დისტანციაზეც — 1:55.38. II ადგილზე გავიდა რ. გაგიევი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 1:55.40, III — ე. როზენკრონი (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 2:04.20.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირში მხოლოდ ვაჟებმა იასპარეზეს.

ბ. ბანია.

მხოლოდ 26

მოცურავეთა შეჯიბრებაში სრული გუნდების გამოყვანა მხოლოდ თბილისის პოლიტექნიკურმა და სოხუმის ინდუსტრიელმა ტექნიკუმებმა შეძლეს. სულ სასაპარეზოდ 8 ქალმა და 18 კაცმა მოიყარა თავი, მაღალი თანრიგის შედეგი კი მათგან არც ერთს არ უჩვენებია.

ზოგიერთ სახეობაში მხოლოდ თითო სპორტსმენი გამოვიდა სარბიელზე. ასე იყო, მაგალითად, 100 მეტრზე ბრასით ქალთა ცურვაში: ს. ოგანესიანი (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი) მხოლოდ წამზომს ებრძოდა. ამავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში ჩასათვლელი III თანრიგის ნორმატივი მხოლოდ თბილისელმა ა. მაქსიმოვამ (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი — 1.39,8) შეასრულა.

სხვა სახეობებში გამარჯვებულები: **ქალები — 100 მ თავისუფალი სტილით** და **გულაღმა ცურვა** — ვ. აფანასიევა (სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი)—1.25,0 და 1.42,1. **ვაჟები — 100 მ თავისუფალი სტილით ცურვა** — ვ. ღამბარიანი — 1.09,5; **100 მ ბრასით** — ი. მილენინი (ორივე — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 1.28,3; **100 მ გულაღმა** — დ. ნარჩოვი (თბილისის პოლიტექნიკური) — 1.20,7. **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით** მოიგო ქუთაისის სამთო ტექნიკუმის გუნდმა.

საერთო ჩათვლის შედეგებით ვაჟებში უძლიერესი იყო თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, ქალებში — პოლიტექნიკური ტექნიკუმი.

ი. ლოლაძე.

ოთხი ჩემპიონი ერთი სასნაველებლიდან

ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართა პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 11 გუნდმა. სრული შემადგენლობით დაკომპლექტებული კოლექტივი მხოლოდ მახარაძის ტექნიკუმმა ვერ წარმოადგინა.

გუნდურ ტურნირში 18 საჯარიმო ქულით I ადგილი მოიპოვა თბილისის ვაჭრობის ტექნიკუმმა, II — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის (20 ქულა), სოლო III — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის კოლექტივმა (30).

პირად შეჯიბრებაში წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: მ. გაბინაშვილი (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი), ბ. ჟიჟიაშვილი (ვაჭრობის ტექნიკუმი), ჯ. ჯანანაშვილი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), გ. დალაქიშვილი (ვაჭრობის ტექნიკუმი), ნ. და რ. ახალაურები (ორივე — პოლიტექნიკური ტექნიკუმი), კ. წოლლიძე (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი), ა. შაშვიაშვილი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი).

ა. ფიცხელაური,
სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ტანვარჯიშულ იარაღებზე

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება ორ დღეს გრძელდებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდმა (მწვრთნელი გ. კილაძე). დანარჩენი ორი საპრიზო ადგილიც თბილისელებს ხვდათ: II ადგილზე გავიდნენ მსუბუქი მრეწველობის, ხოლო III — პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდი.

პირადი პირველობის შედეგები ასეთია:

ქალები. ოსტატობის კანდიდატები. 1. ლ. ლაკტიონოვა — 73,3, 2. ტ. ოლშანსკაია (ორივე — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი). — 72,1, 3. ნ. ქარსანაშვილი (თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) — 67,0 ქულა; **I თანრიგი.** ლ. პონომარიოვა — 73,4, 2. ლ. ბობდარენკო (ორივე — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 71,6, 3. ჯ. გიგიბერია (ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი)— 71,0; **II თანრიგი.** 1. გ. კასრაძე (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) — 68,5, 2. ც. ხუციშვილი — 68,4. 3. ზ. ბერიაშვილი (ორივე — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 66,3.

ვაჟები. II თანრიგი. 1. ვ. ოქრობელიძე (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 105,9, 2. თ. გიგიბერია (ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი) — 105,3, 3. შ. ვახანია (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი)— 104,7; **III თანრიგი.** ნ. ჩაჩანიძე — 107,3, 2. ნ. ტარასოვი (ორივე — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 106,7, 3. ა. მუდალაშვილი (მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) — 106,6 ქულა.

ი. ბაგოშვილი.

ხარვეზი ძალიან ბევრია

ამ ბოლო ხანს ხელბურთელთა სამი რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრება გაიმართა. მოზარდთა I რესპუბლიკური თამაშების ფინალური ასპარეზობის ამბავი უკვე იცის „ლელოს“ მკითველმა. ახლა გადაცემობთ რესპუბლიკის I და II ჯგუფებში გამართული შეჯიბრებების შედეგებს.

ფოთში ერთმანეთს ხვდებოდნენ I ჯგუფის, ბათუმში — II ჯგუფის გუნდები.

I ჯგუფის ქალთა გუნდების შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ უნივერსიტეტელები (მწვრთნელი ჯ. აბშილავა) და თბილისის „განთიადის“ (ვ. ერაქელოვი) წარმომადგენლები. სწორედ ამ ორი კოლექტივის ფინალურ შეხვედრაში გაირკვა საქართველოს ახალი ჩემპიონის ვინაობა: უნივერსიტეტელებმა მატჩი უკეთ ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 20:14. მესამე იყო ფოთის გუნდი (ვ. ფარულია), რომელმაც ამ ადგილისთვის დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ბათუმის ნაკრები — 16:15.

ვაჟთა გუნდებში საქართველოს ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად მოიპოვა თბილისის „დინამომ“ (მწვრთნელი — საპატიო სპორტის ოსტატი თ. ანთაძე). დინამოელთა ახალგაზრდულმა კოლექტივმა ფინალში დაამარცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (სპორტის ოსტატი გ. მაჭავარიანი) — 31:26. რუსთაველმა ხელბურთელებმა (ლ. ბროძელი) III საპრიზო ადგილი დაიკავეს. მათ ამ ადგილისთვის ბრძოლა მხოლოდ 1 ბურთით მოუგეს ბათუმელებს — 28:27.

II ჯგუფის ქალთა გუნდებში უძლიერესი გამოდგა წულუკიძის ნაკრები (მწვრთნელი ო. წიფლიძე). II ადგილზე გავიდნენ ლანჩხუთელები (ა. გოგუაძე). III — ზესტაფონელები (სპორტის ოსტატი ჯ. ზაქარაიძე). ვაჟებში პირველობა დ. ისაკაძისა ცხაკაიას გუნდმა (გ ხურცილავა). II საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ზესტაფონელებს (ჯ. ზაქარაიძე), III — მახარაძელებს (შ. კიღურაძე).

ხელბურთელთა ორივე ტურნირმა ცხადყო, რომ სპორტის ამ სახეობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გვაქვს. ჩვენი გუნდები მოისუსტებენ როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. გამოსაკლისად შეიძლება ჩაგიაველოთ მხოლოდ თბილისის გუნდები, რომლებსაც სხვა რაიონების კოლექტივებთან შედარებით უკეთ აქვთ სარბელი. განსაკუთრებით უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებენ ქალები. I ჯგუფის ქალთა გუნდების ტურნირიდან მხოლოდ ერთი მატჩის (უნივერსიტეტი — თბილისის „განთიადი“) გამოყოფა შეიძლება. აჯანურად მართლაც ნამდვილი ხელბურთი ვნახეთ.

ჩამორჩენის მიზეზი ბევრია, მთავარი კი ის ჯახლავთ, რომ რაიონულ ცენტრებსა თუ ქალაქებში გუნდები მუდმივად არ მუშაობენ. ხელბურთელთა კოლექტივები სახელდახელოდ, ამა თუ იმ დიდი შეჯიბრების წინ კომპლექტდება. ამაში მთავარი ბრალი უთუოდ ადგილობრივ სპორტკავშირებსა და სხვა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მიუძღვით.

წარუმატებლობის მიზეზი ისიცაა, რომ ადგილებზე ძალიან ცოტა გვაქვს ხელბურთის ჯგუფი. შორს ნუ წავალთ, თუნდაც, თბილისი აგიღოთ მაგალითად. რაც შეეხება სპორტსაზოგადოებებს, ხელბურთი მათგან ყველაზე ფართოდ „ბურევესტნიკშია“ დაწერგილი. „დინამოს“ ვაჟთა გუნდი ქყავს, მაგრამ ამ საზოგადოებას, ვფიქრობთ, არც ბავშვთა ჯგუფების გახსნა უნდა გაუჭირდეს. ამ ბოლო ხანს სოფლად ხელბურთის განვითარებას ყურადღებით მოეკიდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო. გარკვეული მუშაობა ტარდება „განთიადში“. ეს არის და ეს.

I ჯგუფის გუნდების შეჯიბრებებში ავერ უკვე ორი წელია არ მონაწილეობენ აფხაზეთის ხელბურთელები, თუმცა იქ ამ სახეობის ორი კარგი სპეციალისტი მუშაობს — ი. ჯანგავაძე (გაგრა) და ა. კოპალიანი (სოხუმი). რა იდონონ ამ სპეციალისტებმა, ხელბურთელთა ჯგუფებს თუ საკმარ რაოდენობით არ გახსნიან? აფხაზეთში ბაზების საქმეც ცუდადაა — დარბაზს თავი დავანებოთ, ხელბურთის მოედნებიც არა აქვთ. ცხადია, შეჯიბრებებიც არ ტარდება.

ხელბურთის განვითარებას გარკვეული ეურადღება ექცევა აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, გორში, რუსთავში და სხვა ქალაქებში. მაგრამ ყველგან მცირეა მოედნების რიცხვი. მალაზიებში ვერ იშოვნით ბურთებსა და სხვა ინვენტარს. ამ ქალაქებსა და რაიონებშიც მხოლოდ თითო-ოროლა ჯგუფი თუა გახსნილი ბავშვებისთვის.

ბევრი ნაკლი შეინიშნება II ჯგუფის გუნდებში. მათ ბოლო ასპარეზობაში მონაწილეთა უმეტესობა ძალიან სუსტად თამაშობდა. ჩანდა, რომ ბევრი გუნდი სახელდახელოდ იყო შეკოწწეული. მოედანზე იყო მხოლოდ იმპროვიზაციის მსგავსი რაღაც და არა ნამდვილი თამაში. ასე რომ, ზედმეტია ლაპარაკი მოთამაშეთა ტექნიკაზე ან რაიმე ტაქტიკურ აზროვნებაზე. მიზეზები? მიზეზები, ვგონებ, ნათელია. ის, რაც ზემოთ I ჯგუფის გუნდების შესახებ ვილაპარაკეთ, II ჯგუფის კოლექტივებზეც ვრცელდება.

ბ. შარაშიძე,
საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი, სნრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

რიგაში მექსიკურად

რიგა, 17 ივნისი. ლატვიის დედაქალაქის მძლეოსნური თასების გათამაშების შვიდწლიან ისტორიაში პირველად დაშყარდა მსოფლიო რეკორდი. ეს მოხდა გუშინ ხალამოს — ფრუნზელმა პედაგოგმა ვერა კორსაკოვამ 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 10,2 წამი!

ჯერ კიდევ წინასწარ გარბენში კორსაკოვამ 1965 წელს ირინა პრესის მიერ თბილისში დამყარებული მსოფლიო რეკორდი (10,3) გაიმეორა. ეს მართლაც საუცხოო რამ იყო, მით უმეტეს, რომ ამ ხალამოს რიგაში ჭეშმარიტად მექსიკური, 40-გრადუსიანი სიცხე იდგა.

ფინალი მშვენიერი საყურებელი გახლდათ. ამ გადამწყვეტი გარბენის სხვა მონაწილეებმაც ძალიან კარგ შედეგებს მიაღწიეს: თბილისელმა ლ. ივევლევამ საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა (10,5 წამი), ოდესელმა გ. ზარუბინამ — უკრაინისა (10,6), ლენინგრადელმა ნ. ყარიკოვამ კი 10,7 აჩვენა. დიახ, დიდხანს ელოდნენ მძლეოსნობის გულშემატკივარნი საბჭოთა თარჯმორბენალი ქალებისგან ამგვარ მაღალ მაჩვენებლებს და აი, სპორტსმენებმა გაგვახარეს კიდეც.

ასევე ბრწყინვალე შედეგით აღინიშნა სპრინტერ ვაუთა მანამდე გამართული შეჯიბრება. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონმა, ბელორუსიის წარმომადგენელმა ვლადისლავ სპეიამ 100 მეტრზე რბენაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 10,1 წამი! მან 0,1 წამით გააუმჯობესა 6 წლის ასაკის ძველი მიღწევა, რომელიც ლენინგრადელ ე. ოზოლინს ეკუთვნოდა.

რიგის თასის მფლობელი პირველად გახდა ლუგანსკელი ვ. სკომოროხოვი, რომელმაც უველას აჯობა 400 მეტრზე თარჯრბენში — 50,8 წამი.

ერთ-ერთი თასი — ქარვითა და ვერცხლით მოვარაყებული ხის ჯამი სამუდამოდ „გაეწერა“ ლენინგრადელი ა. პოპოვას ბინაში: პოპოვამ 54,06 მეტრზე ტყორცნა ბადრო და მესამედ გაიმარჯვა ამგვარ ტურნირში.

200 მეტრზე ქალთა რბენაში ფინიშთან პირველი იყო ბრიანსკელი ლ. სამოტოიხოვა — 23,6 წამი.

რიგის ერთ-ერთი თასი პრალას გაემგზავრა [illegible] ვაუთა ხტომაში, [illegible] ჩეხოსლოვაკელმა [illegible] — 208 სმ. მას 3 სანტიმეტრით ჩამორჩა მოსკოველი ვ. გავრილოვი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრების ყველა მონაწილემ როდი გაახარა „დაუგავის“ სტადიონზე მისული მაყურებლები. მაგალითად, ჭოკით ხტომაში გამარჯვებისთვის ლენინგრადელ ი. ფელდს 470 სმ ეყო. ვერც შუბის მტყორცნელმა ვაუებმა გამოიჩინეს თავი.

განახლებული შემადგენლობით

„სოკოლმა“ დაამარცხა „არარატი“

ლენინგრადი, 17 ივნისი. გუშინ აქ შედგა სსრ კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა საგრძნობლად განსხვავდებოდა იმ გუნდისგან, რომელიც სულ ახლახან იბრძოდა ევროპის ჩემპიონატში. კერძოდ, ლენინგრადში თამაშობდნენ: რუდაკოვი, ისტომინი, სიომინი, პლახუტკო, ლევჩენკო (ბასალაევი), ასათიანი, ლენიოვი (ჩუმაკოვი), ვიუნი, გერშკოვიჩი, კოზლოვი, ევრიუქიხინი.

საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. ბურთები გაიტანეს ვიუნმა, გერშკოვიჩმა და ასათიანმა. ერთადერთი სპასუხო გოლის ავტორი იყო ჰოფი. აღსანიშნავია, რომ კოზლოვმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

დანიშნული იყო სპეციალური პრიზები ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეთათვის. საბჭოთა გუნდიდან იგი ერგო რუდაკოვს, ხოლო ავსტრიელთაგან — ჰოფს.

სსრ კავშირის პირველობა

კიდევ 1 დაკარგული ქულა



ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 16 ივნისი.

„დინამო“ (ბათუმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:0.

„**დინამო**“: კვახაძე, ჩხაიძე, ჭორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, დიმანოვი, ხაბიბულინი (ოვანესიანი), გოორგაძე, მაისურაძე, ვერულიძე.

„**შირაკი**“: სეკეპიანი, ხაჩატურიანი, მელატიანი, საგატელიანი, ხარჭიხიანი, პაპოიანი, ვარდანიანი, კარაპეტიანი (მელქონიანი), ავეტისიანი, ბარსეგიანი, იშტოიანი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები — 2:1 „დინამოს“ სასარგებლოდ.

მატჩის დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა შესამჩნევი იყო, რომ სტუმრებს უჭირდათ ტექნიკურად და ტაქტიკურად უფრო ძლიერ მეტოქესთან ბრძოლა. გავიდა ცოტა სანი და ბათუმელებმა შეძლეს საერთო ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება. ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა ჰქონდა გიორგაძეს; ერთ-ერთი იერიშისას წინა ხაზზე გავიდა ჩხაიძე და ბურთი... ძელს მოახვედრა.

კიდევ უფრო ნათელი შეიქნა დინამოელთა უპირატესობა შეხვედრების შემდეგ. „შირაკმა“ ღრმა დაცვაში დაწია თავისი მთავარი ძალები და ზურგი გაიმაგრა, მაგრამ კონტრშეტევებისთვის დატოვა სწრაფი ფორვარდები, რომლებიც სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ მასპინძელთა კართან.

დინამოელებს შეეძლოთ 2 ქულა ჩაეწერათ აქტივში: მათ საკმაოდ ჰქონდათ საამისო მომენტები, მაგრამ თავდამსხმელები საბოლოოდ კვლავინდებურად უხეიროდ არტყამდნენ „შირაკის“ კარში, თანაც, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო სეკეპიანმა მაისურაძის, სირბილაძისა და ხაბიბულინის დარტყმების შემდეგ.

ბათუმის „დინამომ“ ბოლო 8 შეხვედრაში 6 ქულა დაკარგა და საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა.

ო. ჭურჭვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



15 ივნისს გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები „ბ“ კლასის რსფსრ-ს III და IV ზონებში. აი, ამ შეხვედრების შედეგები:

III ზონა

„ტორპედო“ (არმავირი) — „ურალეა“ (ლაბინსკი) 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „დილა“ (გორი) 0:0, „ურალეა“ (სვეტლოგრადი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0, „ურალეა“ (ალეგჭანდროვსკაია) — „ალანანი“ (გურჯაანი) 1:0, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „დაშკინი“ („ზაპოთალა) 1:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „არაგვი“ (ნინიწკვანი) 2:0, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „ტექსტილშრეკი“ (მინგეჩაური) 3:0, „ურალეა“ (სლავიანსკი) — „ტრუდი“ (ენგელსი) 1:1, „ხიმიკი“ (ნევინომისკი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 0:1, „ურალეა“ (ლენინგრადსკაია) — „ენერგია“ (ვოლგსკი) 1:1.

IV ზონა

„მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ურალეა“ (გროზნო) 1:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ლენინგორეცი“ (კაფანი) 4:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 1:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „არაგსი“ (ეჩმიაძინი) 3:1, „ურალეა“ (კასპიისკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:1, „კახეთი“ (თელავი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 0:1, „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 3:0, „ურალეა“ (კრიმსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „ურალეა“ (დერბენტი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0.

ფერილების მიმოხილვა

„ცუდ ვითამაშოთ?..“

ასეთი, ან დაახლოებით ასეთი სათაურით ხშირად მოაქვს ფოსტას წერილები ჩვენს რედაქციაში. მათი ავტორები — სოფლის სპორტსმენები (უმთავრესად ახალგაზრდობა) ჩივიან იმაზე, რომ მათ არა აქვთ საშუალება ივარჯიშონ, ითამაშონ ბურთი, მოაწყონ შეჯიბრებები, გამოსცადონ ძალა. არა აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ არ გააჩნიათ სპორტული მოედნები.

თავისთავად, ახალგაზრდობის ასეთი საჩივარი უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ მათ, ვინც მოწოდებულია ხელი შეუწყოს სოფლად სპორტის აღმავლობას, მაგრამ საყურადღებოა სხვა: უმეტეს შემთხვევაში ალაპარაკია იმაზე, რომ სოფელში იყო მეტად თუ ნაკლებად ვარგისი საფეხბურთო მოედანი, რომელიც ახალგაზრდობას აკმაყოფილებდა, კოლმეურნეობის გამგეობამ კი იგი თავისი საჭიროებისთვის გადახსნა...

რა თქმა უნდა, თუ გამგეობას საჭიროდ მიაჩნია ნაკვეთის სამეურნეო მიზნით გამოყენება, უნდა გამოიყენოს კიდეც იგი. ეს ცხადია, მაგრამ სამაგიერო ნაკვეთი? სანაცვლო ხომ უნდა დაეთმოთ სპორტსმენებს? ეს კი არ ხდება, თუმცა, როგორც წერილი, ახალგაზრდებს მუდამ პირდებიან სამაგიერო ადგილს გამოგიყოფთ და მოგიწყობთ კიდეცო.

აი, მაგალითად, წერილი ზესტაფონის რაიონის სოფ. ჟვანის საზანოს შიმშილაქედის უბნის ფეხბურთელებისგან:

„ძვირფასო რედაქცია! ჩვენ გვიყვარს ფეხბურთი და გატაცებით ვთამაშობთ ბურთს, თუმცა უმჯობესია ვთქვათ — ვთამაშობდით, ვინაიდან სათამაშო მინდორი გადაგვიხნეს, სამაგიეროს კი არ გვაძლევენ. თუმცა კარგა ხანია გვპირდებიან... იქნებ გვიშველოთ?“

ვუერთდებით ქვემო ხაზანოს შიმშილაქედის უბნის ფეხბურთელების თხოვნას და მივმართავთ სოფლის თავკაცებს: მოეხმარეთ ბიჭებს, გამოუყავით ნაკვეთი. ისინი თვითონ მოაწყობენ მას, ჩვენ კი ახალგაზრდობის მადლობას თქვენდამი გაზეთში გამოვაქვეყნებთ.

„ოჩამჩირის რაიონის სოფელ ნაას კარგი სპორტული ტრადიციები გააჩნია. კერძოდ, გვყავდა ფეხბურთის გუნდი, რომელიც რეგულარულად ვარჯიშობდა და შეჯიბრებებსაც მართავდა.

მაგრამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ სტადიონზე თამბაქოს საშრობი ფარდულები დადგა, ჩვენ კი „თამაშგარე მდგომარეობაში“ დაგვტოვა. კომკავშირელთა და პიონერთა გაერთიანებული ძალებით მოეწყო ახალი სტადიონი და არც აქ გაგვიმართლა. სათამაშო მინდვრიდან ათიოდე მეტრის დაშორებით აშენდა ხე-ტყის სახერხი ჭარხანა, რომელის მასალა ზედ მინდორზე ყრია და სამანქანო გზაც აქვე გადის.

იმედი გვაქვს, რედაქცია დახმარებას გაგვიწევს საჭირო სპორტული ბაზის მოწყობაში“.

ამ წერილს ნაას ახალგაზრდობის სახელით ხელს აწერს დ. შონია. რა კომენტარი შეგვიძლია გავაკეთოთ გარდა იმისა, რომ საჯაროდ მივმართოთ ამ სოფლის კოლმეურნეობის გამგეობას თხოვნით — დაეხმარონ ფეხბურთელებს, ხელი შეუწყონ მათ.

ნამდვილად ყვარებიათ სპორტი საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურში, თორემ აქაურები სოფლიდან 10-12 კილომეტრის დაშორებით სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად არ იარ ივლიდნენ.

ნუთუ საგარეჯოს რაიონის ამ სოფლის თავკაცებში ისეთი არ გამოჩნდა, რომელიც დაინტერესდებოდა ახალგაზრდობის ამგვარი „ლაშქრობებით“ და დახმარებას გაუწევდა მას. როგორ შეიძლება კაცმა კარგად ითამაშოს ფეხბურთი მას შემდეგ, როცა 10 კილომეტრს ფეხით გაივლის?

ასეთივე საჩივრით მოგვმართავენ მარნეულიდან სოფ. ფარეულის სპორტსმენები (ა. კუპრაშვილი, შ. ასანიძე, ბ. დეკაძე). აქ ადრე ჰქონიათ ფეხბურთის მინდორი, მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელობას (დირექტორი შ. ბახტაძე) რატომღაც მაინცდამაინც აქ გაუშენებია სატრაქტორო გარაჟი. სადავო არაა, რომ მეურნეობას სატრაქტორო გარაჟი ძალიანაც ჭირდება, მაგრამ ნუთუ ამ საქმეს მაინცდამაინც ფეხბურთის სათამაშო ადგილი უნდა ემსხვერპლა?

აბსოლუტურად მოკლებული არიან სპორტბაზებს სოფელ ურაველში (ახალციხის რაიონი). აქაურმა ახალგაზრდებმა დახმარებისთვის მიმართეს სპორტკავშირს, კომკავშირულ ორგანიზაციებსაც, მაგრამ ურაველში ჯერჯერობით ბურთის სათამაშო მოედანიც კი არ არსებობს.

რატომ, რა დაუშავეს ახალგაზრდა სპორტსმენებმა? საფეხბურთო მინდვრის მოწყობა არაა ძნელი საქმე. ასეთი ადგილი თვითეულ სოფელს უნდა ჰქონდეს. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივ ხელმძღვანელთა მხარდაჭერა და დახმარება. ახალგაზრდობა ყოველთვის დაუფაბებს მათ ამაგს.

ასეთი სიგნალები სოფლის სპორტსმენთა მიმართ უყურადღებობის თაობაზე, რედაქციაში საკმაოდ შემოდის. თვითეული მათგანი გულისტკივილს იწვევს, მაგრამ სამდვილად საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომელზეც ცხოვრობენ გვწერენ რაიონების № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატის ადსაზრდელები. სად, თუ არა აქ, უნდა შეუქმნან ნორჩებს ყველა პირობა სპორტში სამეცადინოდ?

აი, ეს წერილიც:

„ჩვენ კარგი ფიზკულტურული კოლექტივი გვყავს, გვაქვს წარმატებებიც, მაგრამ ძალზე გვაწუხებს ფეხბურთის სათამაშო მინდვრის უქონლობა. სკოლას აქვს მოედანი, მაგრამ ზუსტად მის შუა ნაწილზე გადის ხატელეფონო ბაზი და უკვე რამდენიმე წელია მოედანს ვერ ვიყენებთ. სკოლის დირექციამ ამ საკითხზე მიმართა დასავლეთ საქართველოს კავშირგაბმულობის კვანძების უფროსს ამხ. ჯანაშიას, მან კი საქმის მოგვარება დაავალა უბნის უფროსს ამხ. პაპკორიას. ამ უკანასკნელმა კი მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი გააკეთა. საჭიროა სულ 4 ბოძის გადატანა და სკოლას ეკნება საფეხბურთო მინდორი“.

„ლელოს“ რედაქცია თხოვნით მიმართავს ამხანაგებს ჯანაშიას და პაპკორიას: გადაატანინეთ ეს 4 ბოძი და ბავშვებს გაუწიეთ დახმარება. მადლობას წინასწარ გიხდით.

გულისტკივილით გვწერს დაბა შორაპანიდან ჩვენი გაზეთის მკითხველი ა. მშვენიერაძე.

„როდემდე შეიძლება ვუცქიროთ ეკალ-ბარდს შორაპანის სტადიონზე? განა აქ სხვაზე ნაკლები ახალგაზრდობაა, განა აქ არ შეიძლება აღიზარდონ ნიჭიერი სპორტსმენები?

მაგრამ როგორ? სტადიონის მშენებლობა ოდესღაც დაიწყეს, მერე კი მიატოვეს და, ეტყობა, სამუდამოდაც, ალარავის აწუხებს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, ხოლო ახალგაზრდობა მოკლებულია ვარჯიშის საშუალებას“.

საინტერესოა, რას იტყვიან ისინი, ვისაც ზესტაფონის რაიონში, კერძოდ, შორაპანში სპორტის განვითარების საქმე ეხება?

ᲥᲔᲠᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● **სიდნეი, 16 ივნისი.** აქ გაიმართა რეგბისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. მასპინძლებმა — ავსტრალიელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 16:13 დაამარცხეს საფრანგეთის ნაკრები.

● **შრეფლი, 17 ივნისი.** პოლონეთის ამ ქალაქის მიდამოებში მოეწყო „250-ანების“ მსოფლიო ჩემპიონატის VIII ეტაპი. გაიმარჯვა ბელგიელმა მოტოკროსმენმა ჟ. რობერმა. ჩასათვლელ ექვსეულში მომდევნო ადგილები დაიკავეს ჭ. კონეჩნიმ (ჩეხოსლოვაკია), ს. გებერსმა (ბელგია), ე. პეტუშკოვმა, გ. მოისეევმა (ორივე — სსრ კავშირი), ტ. ჰალმანმა (შვეიცია). ახლა რობერს 4 გამარჯვება აქვს. ბოლო ორი წლის მსოფლიო ჩემპიონმა ჰალმანმა ჯერჯერობით 2 შეჯიბრება მოიგო, მაგრამ წინ ჯერ კიდევ 6 რბოლაა, ჩათვლაში კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ 7 საუკეთესო შედეგი შედის. მსოფლიო ჩემპიონატის IX ეტაპი მომავალ კვირას ლვოვის მიდამოებში გაიმართება.

● **პრაღა, 17 ივნისი.** „ჩეხოსლოვაკიის დიდი პრიზი“ და მსოფლიო ჩემპიონატის VI ეტაპი „500-ანების“ კლასში მოიგო გდრ-ის სახალხო პოლიციის ოფიცერმა პ. ფრიდრიხსმა. ჩემპიონატის ეტაპებში ზედიზედ მესამე გამარჯვებამ ფრიდრიხსი ამ შეჯიბრების ლიდერი გახადა.

● **სოფია, 17 ივნისი.** თანამედროვე ხუთჭიდში ინგლისის, დანიის, შვეიცარიისა და შვეციის ათლეტთა საერთაშორისო შეჯიბრებში სპორტის ამ სახეობის სამშობლოს — შვეიცის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, მასპინძელთა ოლიმპიურმა იმედმა ბ. ფერმმა — 5115 ქულა. ეს საერთაშორისო კლასის შედეგი.

როცა ბავშვები ხიფათს ეთამაშებიან

მონაცის ტრასაზე ავტორბოლის საყურებლად მისული მილანელები გაკვირვებული დარჩნენ. ცნობილ ავტოდრომზე წრეს წრეზე ურტყამდა ექვსი მანქანა. ეს გახლდათ მინიატურული სარბოლი მანქანები, რომელთაც სიგრძე დაახლოებით 2,5, სიგანე კი 1 მეტრი აქვთ. როცა ბენზინის ასაღებად ჩერდებოდნენ, მანქანებიდან 8-10 წლის ბიჭუნები ძვრებოდნენ. შეჯიბრების ყველაზე ნორჩ მონაწილეს ახლახან შეუსრულდა 6 წელი.

ეს იყო იტალიაში ბავშვების პირველი რბოლა მინიავტომობილებით (იხ. მარჯვენა ფოტო). მას აფინანსებდა უნივერმაღების მსხვილი კონცერნი, რომელმაც თავის ყველა ფილიალში გამოაკრა შესაბამისი რეკლამა. ფირმის წარმომადგენლებმა პირველი სტარტების დამთავრებისთანავე განაცხადეს, რომ მომავალშიც აპირებენ ამგვარი შეჯიბრების მოწყობას პროფესიონალ ავტომრბოლელთა ასპარეზობის მასშტაბით. ბავშვები? თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი საათში 50 კმ სისწრაფით დააქროლებენ მანქანებს, ცხადი გახდება: ბიზნესმენები სიკვდილთან სახიფათო თამაშს სთავაზობენ ნორჩებს.

ფოტო „შტერნ“—აას-ისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიკვდილო ნახტომი

ეს ამბავი კეტვიჩის (გფრ) ახლოს, მდინარე რურზე გადებულ ხიდზე ხდება. კაცი, რომელსაც გაშლილი ჭოლგა უჭირავს, პარაპეტზე ადის და დაბლა, მდინარის ტალღებში ეშვება. მანქანის მძღოლებს, ხიდზე რომ გადადიან, სუნთქვა ეკვრით: განწირულის შეჩერება უკვე შეუძლებელია....

80 მეტრი ჰაერში. შემდეგ ადამიანის სხეული ქვასავით ეცემა წყლის ზედაპირზე და იძირება. მაგრამ ხუთი მეტრის დაშორებით იგი კვლავ გამოჩნდება...

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ ვოლფგანგ კუნცემ დაიჯერა დასავლეთგერმანული რადიოსადგურის („გერმანული ტალღა“) ნაამბობი „დასავლური სამოთხის“ სასწაულებზე და გდრ-იდან გფრ-ში გაიქცა.

იქ კუნცეს სიღატაკე ელოდა. მან ცირკში დაიწყო აკრობატად მუშაობა, მაგრამ უბედურება შეემთხვა — საავტომობილო კატასტროფა. რაც გაჩნდა, მკურნალობას მოანდომა და უმუშევარი, ხელცარიელი დარჩა. დაიწყო სამუშაოს ძებნის საშინელი დღეები. უურადღება რომ მიექცია და დაემტკიცებინა, აკრობატობა კიდევ შემიძლიაო, კუნცე იძულებული გახდა ხიდიდან გადამხტარიყო.

მდინარის ტალღებს ძლივს რომ დააღწია თავი და გონს მოვიდა, კუნცემ თქვა: „იქნებ ახლა მაინც დამიჯეროს ვინმემ, სპორტულ ფორმაში რომ ვარ და კვლავ მომცენ აკრობატის სამუშაო. მე კარგად ვიცოდი, რომ ეს ნახტომი უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს ხომ ჩემი ერთადერთი შანსი გახლდათ“.

სურათზე: ნახტომი 80 მეტრიდან.

ფოტო „კვიკ“—აას-ისა.



თეირანის რაუნდები

*მაისის ბოლოს თეირანში გაიმართა სამყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) აღმასკომის სხდომა. აას-ის კორესპონდენტმა ბ. ოლშ